განცხადება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. **პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს**, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის _ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონ-კურსის საფუძველზე, ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკი-ცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
2. **პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის** დირექტორობის კანდიდატად შეიძლება შეირჩეს და დირექტორის თანამდებობა დაიკავოს პი-რმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრო-მლისთვის (უვადო) დადგენილ მოთხოვნებს (ასევე მოთხოვნებს განცხადების მე-5 პუნქტის 5.3. ქვეპუნქტის შესაბამისად) და რომლის ასაკი 65 წელს არ აღე-მატება. მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის (უვადო) წაყენებული მოთხოვნები განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი"-ით და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,ინსტიტუტებისა და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების" პირველი მუხლის პირველი პუნქტით, ასევე მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით.
3. კონკურსი ცხადდება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავე-ბლად _ 1 საშტატო ერთეული.
4. **კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს:**

   4.1 უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი წაყენებულ **ძირითად** მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

   უნდა ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით, ასევე

მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან გააჩნდეს 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში.

4.2 თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სპეციფიკიდან გამომდინარე **დამატებით მოთხოვნებს**, რაც მდგომარეობს შემდეგში:

4.1 პუნქტით გათვალისწინებულ 4 რეიტინგულ პუბლიკაციას შორის 2 საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პუბლიკაცია.

უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება, კერძოდ,

ა) სამეცნიერო დაწესებულების 6 წლის ან სამეცნიერო დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მართვის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება;

ბ) საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო ან სამეცნიერო კომიტეტების წევრობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება.

5. **კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ (ცალკე უნდა გამოიყოს მთავარი მეცნიერი თანამშრომლისადმი (უვადო) წაყენებული მოთხოვნების შესაბამისი ნაშრომების სია), შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

დ) ორი ფოტოსურათი (3X4);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ვ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/ სხვ.);

ზ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო ან სამეცნიერო კომიტეტის ხელმძღვანელობის დამადასტურებელი დოკუმენტი

ი) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების, აგრეთვე ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მისეული ხედვა;

კ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ

კონკურსი გამოცხადდეს 2026 წლის 9 თებერვალს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2026 წლის 9 მარტიდან 2026 წლის 11 მარტის ჩათვლით, 11:00-დან 16:00 საათამდე, თსუ X კორპუსში (ოთახი № 403), თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 19.

სამეცნიერო საბჭოს შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2026 წლის 19 მარტისა.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო